

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი №6**

**2019 წელი, 5 მარტი  
ქ.ოზურგეთი  
14.00-16.00 საათი**

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,გ.ღურჯუმელიძე,  
ბიუროს წევრები: ე.გორდელაძე, ლ.საჯაია, გ.კილაძე,  
ტ.აროშიძე, ლ.ბიგვავა, გ.ჩავლეშვილი, გ.ჩაგანავა,  
ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, ლ.მგელაძე, შ.გოგიბერიძე.  
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-  
ა.სურგულაძე.  
მერის მოადგილე, ო.თოთიბაძე.  
საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეებს მოუწოდა, ბიუროს შემდგომი სხდომისათვის შეიმუშაონ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების წარმოდგენის გრაფიკი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით დარჩიამ განცხადა, რომ დღის წესრიგს განხილვამდე დაემატება ერთი საკითხი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“.

**დღის წესრიგი**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: დავით გორდელაძე**

**გიორგი ჩაგანავა**

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეშვილი**

**გოჩა კილაძე**

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე**

**ლავრენტი ბიგვავა**

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე**

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ, განაცხადა, რომ სამომავლოდ, უმჯობესია მოხდეს საპრივატიზაციო ქონების ობიექტების ნუსხის დამტკიცება განკარგულებით და შემდგომი მიღებისას შეტანილ იქნას ცვლილება აღნიშნულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში. ასევე, მან მოუწოდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ უმჯობესი იქნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა ერთობლივად იქნას წარმოდგენილი.

ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ დასვა შეკითხვა: რატომ ხდება ტერიტორიულად ერთი და იგივე მდებარეობის მიწის ნაკვეთებზე განსხვავებული შეფასება? რაზეც, განემარტა, რომ ფასებს ადგენს მოწვეული აუდიტორი. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ მერიის შესაბამის სამსახურს მიმართა, რომ პრივატიზების

გეგმასა და საპრივატიზაციო ქონების ნუსხას თან ახდეს აუდიტორის შეფასება და შესაბამისი დასკვნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, ფრაქცია „ოპორტუნისტების მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ლ.მგელაძე დაინტერესდა თუ რა ხდება ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული ელექტრონული პეტიციის თაობაზე, რომელიც ეხება ქვიშა-ლორდის მოპოვებას აჭის წყლის მიმდებარე ტერიტორიაზე და აღნიშნული ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად გამოცხადებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ტერიტორიას რეკრეაციულ სტატუსს მუნიციპალიტეტი ვერ ანიჭებს. ასევე, ისუბრა იმ გაწეულ სამუშაოზე, რომელიც ჩაატარა აღნიშნული საკითხის ირგვლივ შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ.

სხდომის დასასრულს, ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ტარიელ არაშვიტმა უმრავლესობის სახელით მიმართა ბიუროსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, დავით დარჩიას, საკრებულოს მორიგი სხდომის ერთი კვირით გადადების თაობაზე, რაც ბიურომ გაითვალისწინა. სხდომის გადადება განპირობებული იყო აღმასრულებელი ხელისუფლებიდან შემოტანილი ბიუჯეტის ცვლილების პროექტის დამატებითი შესწავლის მიზნით. ფრაქციის თავმჯდომარემ, ტარიელ არაშვიტმა განაცხადა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს ინიციატივის შესახებ, რომელიც ეხება საბავშვო ბაღის თანამშრომლებისათვის 8 მარტის დღესთან დაკავშირებით წახალისებას. ასევე, შობადობის გაზრდის მიზნით, ფრაქციის ინიციატივა არის ყოველ ახალშობილ ბავშვზე ერთჯერადად 300 ლარის დახმარების გაცემა. მან განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ წინადადებებზე განხილვის პროცესში საჭიროა მოისმინონ მერის პოზიცია.

საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეებმა მიმართეს მერიის წარმომადგენლებს, რომ, ყველა სამართლებრივი აქტი სრულყოფილად, დროულად იქნას შემოტანილი საკრებულოში შემდგომი რეაგირებისათვის.

ბიუროს წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და

### გადაწყვეტის:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებული N1, 2, 3 საკითხი შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, ხოლო 4 საკითხი „ოპორტუნისტების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესაბამისი დარგობრივი კომისიის განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

2. საკრებულოს მორიგი სხდომა ნაცვლად 6 მარტისა, გაიმართოს 13 მარტს 12.00 საათზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

